KA020172660864618

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი
პირველი ვიცე-პრემიერი

MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA
FIRST VICE PRIME MINISTER

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. N2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 12/4010

04 / მაისი / **2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მაქვს პატივი, მოგიწვიოთ რიგით მე-11 ევროპულ დიალოგში ინტერნეტ მმართველობის საკითხებზე - EuroDIG 2018, რომელიც ევროპის ინტერნეტ მმართველობის ასოციაციასთან ერთად, 2018 წლის 5-6 ივნისს, ქ. თბილისში, სასტუმრო „რუმსში“ იმართება. ღონისძიების ძირითადი მხარდამჭერი და ორგანიზატორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო თანაორგანიზატორები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაცია.

EuroDIG-ი იმართება ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და წარმოადგენს ევროპის ფარგლებში ყველაზე მასშტაბურ ღია მრავალმხრივ პლატფორმას მოსაზრებების, საუკეთესო გამოცდილების გაცვლისთვის თუ როგორ უნდა იმართებოდეს ინტერნეტი. მასში მონაწილეობენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, როგორც სამთავრობო, ისე კერძო, აკადემიური, არასამთავრობო სექტორებიდან. ამასთან, ფორუმების მუშაობაში აქტიურად არიან ჩართულები საერთაშორისო ორგანიზაციები და ახალგაზრდა თაობა, რომლებიც ერთობლივად განიხილავენ და ცვლიან შეხედულებებს ინტერნეტის განვითარების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. აღნიშნული დიალოგის საქართველოში ჩატარება, პირველი შემთხვევაა როდესაც იგი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანაში ტარდება, ხოლო მეორე შემთხვევაა, როდესაც იგი ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში ჩატარდება.

EuroDIG-2018-ზე განხილული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა ინტერნეტში, გამოხატვის თავისუფლება, საავტორო უფლებების დაცვა, მონაცემთა დაცვის შესახებ რეგულაციები (GDPR), კიბერუსაფრთხოება, ინტერნეტთან და კონტენტთან წვდომა, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სათემო ინტერნეტიზაცია, დომენები, ინტერნეტში ბავშვების დაცვა, ციფრული ეკონომიკა, ელექტრონული კომერცია, ბლოკჩეინი, ციფრული წიგნიერება, ინოვაციები და ინტერნეტთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ვიმედოვნებთ, რომ მონაწილეობას მიიღებთ EuroDIG-2018-ში. ღონისძიებაზე რეგისტრაცია სავალდებულოა და რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2018 წლის 31 მაისი.

ღონისძიების დღის წესრიგი და სარეგისტრაციო ფორმა გთხოვთ იხილოთ ვებგვერდზე: https://www.eurodig.org/index.php?id=76 .

პატივისცემით,

პირველი ვიცე-პრემიერი/მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი